პარტნიორი ლ'აკვილას უნივერსიტეტის მიერ თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის 2025/2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. **კონკურსის მიზანი**

სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების მიზანია 2025/2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს შორის პარტნიორი ლ'აკვილას უნივერსიტეტის მიერ 2025/2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გამოყოფილი, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში დაფინასებული სასწავლო სტიპენდიბის კანდიდატების შერჩევა.

2. **კომისიის შეფასება**

კომისია ახორციელებს დოკუმენტაციის შეფასებას ლ'აკვილას უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების თანახმად.

3. **შეფასების კრიტერიუმები**

ა) კანდიდატის რეზიუმე (მაქსიმუმ 15 ქულა);
ბ) მოტივაციის წერილი (მაქსიმუმ 10 ქულა);
გ) საწავლო ხელშეკრულება /საკვლევი გეგმის მონახაზი (მაქსიმუმ 15 ქულა)
დ) ნიშნების ამონაწერი (მაქსიმუმ 30 ქულა);
ე) ინგლისური და/ან იტალიური ენის ცოდნის დონე (მაქსიმუმ 20 ქულა)
ვ) დამატებითი სერტიფიკატები (მაქსიმუმ 10 ქულა)

4. **სტიპენდიატების გამოვლენა**

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.